

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

თავი I. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსი

(ათას ლარი)

ცხრ. N1

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2025 წლის წლიური შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>19 687,3</b>	<b>298,4</b>	<b>19 388,9</b>	<b>35 827,8</b>	<b>15 974,3</b>	<b>19 853,5</b>	<b>37 880,9</b>	<b>14 256,0</b>	<b>23 624,8</b>
გადასახადები	17 208,9	0,0	17 208,9	17 208,9	0,0	17 208,9	19 581,9	0,0	19 581,9
გრანტები	298,4	298,4	0,0	16 028,9	15 974,3	54,6	14 704,6	14 256,0	448,6
სხვა შემოსავლები	2 180,0	0,0	2 180,0	2 590,0	0,0	2 590,0	3 594,351	0,000	3 594,351
<b>II. ხარჯები</b>	<b>18 391,2</b>	<b>298,4</b>	<b>18 092,8</b>	<b>25 966,1</b>	<b>4 496,0</b>	<b>21 470,1</b>	<b>22 197,9</b>	<b>2 804,0</b>	<b>19 393,8</b>
შრომის ანაზღაურება	3 892,5	0,0	3 892,5	3 592,8	0,0	3 592,8	3 267,1	0,0	3 267,1
საქონელი და მომსახურება	2 287,2	0,0	2 287,2	4 918,6	2 196,4	2 722,2	4 092,6	1 793,0	2 299,6
პროცენტი	23,0	0,0	23,0	5,6	0,0	5,6	5,5	0,0	5,5
სუბსიდიები	9 234,4	278,4	8 956,0	10 741,1	191,0	10 550,1	10 041,7	191,0	9 850,7
გრანტები	46,7	0,0	46,7	153,8	0,0	153,8	150,1	0,0	150,1
სოციალური უზრუნველყოფა	2 149,0	20,0	2 129,0	3 512,0	20,0	3 492,0	2 922,2	20,0	2 902,2
სხვა ხარჯები	758,4	0,0	758,4	3 042,2	2 088,7	953,6	1 718,8	800,0	918,7
<b>III. საოპერატიო სალდო</b>	<b>1 296,1</b>	<b>0,0</b>	<b>1 296,1</b>	<b>9 861,6</b>	<b>11 478,2</b>	<b>-1 616,6</b>	<b>15 683,0</b>	<b>11 452,0</b>	<b>4 231,0</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1 759,4</b>	<b>0,0</b>	<b>1 759,4</b>	<b>15 600,6</b>	<b>12 907,2</b>	<b>2 693,5</b>	<b>13 394,6</b>	<b>11 535,1</b>	<b>1 859,5</b>
ზრდა	1 839,4	0,0	1 839,4	15 680,6	12 907,2	2 773,5	13 396,8	11 535,1	1 861,7
კლება	80,0	0,0	80,0	80,0	0,0	80,0	2,2	0,0	2,2
<b>V. მილიანი სალდო</b>	<b>-463,3</b>	<b>0,0</b>	<b>-463,3</b>	<b>-5 739,0</b>	<b>-1 428,9</b>	<b>-4 310,1</b>	<b>2 288,4</b>	<b>-83,1</b>	<b>2 371,5</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-515,3</b>	<b>0,0</b>	<b>-515,3</b>	<b>-5 789,9</b>	<b>-1 428,9</b>	<b>-4 361,0</b>	<b>2 237,5</b>	<b>-83,1</b>	<b>2 320,6</b>
კლება	515,3	0,0	515,3	5 789,9	1 428,9	4 361,0	-2 237,5	83,1	-2 320,6
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-52,0</b>	<b>0,0</b>	<b>-52,0</b>	<b>-50,9</b>	<b>0,0</b>	<b>-50,9</b>	<b>-50,9</b>	<b>0,0</b>	<b>-50,9</b>
კლება	52,0	0,0	52,0	50,9	0,0	50,9	50,9	0,0	50,9
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0,0			0,0			5 904,1	1 539,7	4 364,4
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	0,0			0,0			8 141,6	1 456,6	6 685,0

2025 წლის ბალანსის მიხედვით (ცხრ.N1) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2025 წელს დაგეგმილი 35 827,8 ათასი ლარის შემოსავლებიდან მიღებული აქვს 37 880,9 ათასი ლარის შემოსავალი და დაგეგმილი 25 966,1 ათასი ლარის ხარჯებიდან გაწეული აქვს 22 197,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი;

2025 წლის პირველი იანვრისათვის საბიუჯეტო სახსრების დარჩენილი თავისუფალი ნაშთი შეადგენდა 5 904,3 ათას ლარს, საიდანაც 2025 წლის ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნა 5 789,9 ათასი ლარი; ხოლო 2025 წლის ბოლოს დაგროვებული ნაშთი განისაზღვრა 8 141,6 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების გადაჭარბების გამო.


2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ცხრ. N 2

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2025 წლის ფილიური შესრულება			გეგმის შესრ. %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
<b>შემოსულობები</b>	<b>19 767,3</b>	<b>298,4</b>	<b>19 468,9</b>	<b>35 907,8</b>	<b>15 974,3</b>	<b>19 933,5</b>	<b>37 883,1</b>	<b>14 256,0</b>	<b>23 627,0</b>	<b>105,5</b>
შემოსავლები	19 687,3	298,4	19 388,9	35 827,8	15 974,3	19 853,5	37 880,9	14 256,0	23 624,8	105,7
არაფინანსური აქტივების კლება	80,0	0,0	80,0	80,0	0,0	80,0	2,2	0,0	2,2	2,8
<b>გადასახადებები</b>	<b>20 282,6</b>	<b>298,4</b>	<b>19 984,2</b>	<b>41 697,7</b>	<b>17 403,2</b>	<b>24 294,5</b>	<b>35 645,6</b>	<b>14 339,1</b>	<b>21 306,5</b>	<b>85,5</b>
ხარჯები	18 391,2	298,4	18 092,8	25 966,1	4 496,0	21 470,1	22 196,8	2 802,9	19 393,8	85,5
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>1 839,4</b>	<b>0,0</b>	<b>1 839,4</b>	<b>15 680,6</b>	<b>12 907,2</b>	<b>2 773,5</b>	<b>13 396,8</b>	<b>11 535,1</b>	<b>1 861,7</b>	<b>85,4</b>
ვალდებულებების კლება	52,0	0,0	52,0	50,9	0,0	50,9	50,9	0,0	50,9	100,0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-515,3</b>	<b>0,0</b>	<b>-515,3</b>	<b>-5 789,9</b>	<b>-1 428,9</b>	<b>-4 361,0</b>	<b>2 237,5</b>	<b>-83,1</b>	<b>2 320,6</b>	

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი (ცხრ. N 2) შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 19 767,3 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 16 140,5 ათასი ლარით და განისაზღვრა 35 907,8 ათასი ლარით. მ.შ. ზრდა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ხარჯზე 15 675,9 ათასი ლარით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 464,6 ათასი ლარით, მათ შორის ბანკიდან მიღებული პროცენტებით შემოსულობები გაიზარდა 360,0 ათასი ლარით, ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლებით 50,0 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული გრანტიდან 54,6 ათასი ლარით. ფაქტიურად 2025 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 37 883,1 ათასი ლარის შემოსულობები. შემოსულობების გეგმა შესრულებულია 105,5 %-ით. გეგმის ზევით მობილიზებულია 1 975,3 ათასი ლარი, ხოლო გასულ 2024 წელთან შედარებით მიღებულია 4 996,2 ათასი ლარით მეტი შემოსულობები.

დიაგრ. N 1



N1დიაგრამის თანახმად, შემოსულობების სახეების მიხედვით ყველაზე მეტი შემოსავალი მიღებულია გადასახადებიდან და შეადგენს მთელი შემოსულობების 51,7 %-ს; გრანტებიდან 38,8%-ს; სხვა შემოსულობებიდან 9,5% -ს და არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ 0,006%-ს.

ა) საგადასახადო შემოსავლები

ცხრ. N3

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის წლიური შესრულება	2024 წლის ფაქტი	სხვაობა (გეგმა-ფაქტი)	გეგმის შესრ. %	სხვაობა (2025-2024)
	1	2	3	4	5	6	7
<b>გადასახადები</b>	<b>17 208,9</b>	<b>17 208,9</b>	<b>19 581,9</b>	<b>15 909,1</b>	<b>2 373,0</b>	<b>113,8</b>	<b>3 672,8</b>
<b>ქონების გადასახადი</b>	<b>6 200,0</b>	<b>6 200,0</b>	<b>8 611,2</b>	<b>6 334,7</b>	<b>2 411,2</b>	<b>138,9</b>	<b>2 276,5</b>
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 930,0	4 930,0	7 974,2	4 962,3	3 044,2	161,7	3 011,9
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	500,0	500,0	-206,1	563,1	-706,1	-41,2	-769,2
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)				11,1	0,0		-11,1
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	0,0	24,3	19,7	24,3		4,6
ფიზიკურ პირებიდან	0,0	0,0	23,9	17,2	23,9		6,6
იურიდიულ პირებიდან	0,0	0,0	0,5	2,5	0,5		-2,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	770,0	770,0	793,4	778,5	23,4	103,0	14,9
ფიზიკურ პირებიდან	0,0	0,0	23,9	17,2	23,9		6,7
იურიდიულ პირებიდან	770,0	770,0	769,5	761,3	-0,5	99,9	8,2
<b>დამატებული ღირებულების გადასახადი</b>	<b>11 008,9</b>	<b>11 008,9</b>	<b>10 970,7</b>	<b>9 574,5</b>	<b>-38,2</b>	<b>99,7</b>	<b>1 396,3</b>

გადასახადები (ცხრ. N3) 2025 წელში დაგეგმილი 17 208,9 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 19 581,9 ათასი ლარი, გადასახადების 2025 წლის გეგმა შესრულებულია 113,8 %-ით და გეგმის ზევით მობილიზებული იქნა 2 373,0 ათასი ლარი, ხოლო წინა 2024 წელთან შედარებით 3 672,8 ათასი ლარით მეტი. მათ შორის: ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილი 6 200,0 ათასი ლარიდან მიღებულია 8 611,2 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადების ძირითადი სახეებიდან კერძოდ, საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 7 974,2 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადიდან 2025 წელს უკან წაღებულია 206,1 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 793,4 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში გადასახადების ყველაზე მასშტაბურ გადამხდელია საქართველოს რკინიგზა.

დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 11 008,9 ათასი ლარიდან მიღებულია 10 970,7 ათასი ლარი, დაგეგმილზე 38,2 ათასი ლარით ნაკლები და 2024 წელთან შედარებით 1 396,3 ათასი ლარით მეტი.

**ბ) გრანტები**

ცხრ. N4

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის წლიური შესრულება	2024 წლის ფაქტი	სხვაობა (გეგმა-ფაქტი)	გეგმის შესრ. %	სხვაობა (2025-2024)
	1	2	3	4	5	6	7
<b>გრანტები</b>	<b>298,4</b>	<b>16 028,9</b>	<b>14 704,6</b>	<b>13 918,8</b>	<b>-1 324,3</b>	<b>91,7</b>	<b>785,8</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	54,6	54,6	84,5	0,0	100,0	-29,9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	298,4	211,0	211,0	198,4	0	100,0	12,6
ტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან	0,0	1 270,9	1 263,7	1 069,0	-7,2	99,4	194,8
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	9 358,6	9 358,6	8 620,0	-0,1	100,0	738,6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	890,0	890,0	890,0	0,0	100,0	0,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	278,8	278,8	907,8	0,0	100,0	-629,0
სპეციალური ტრანსფერი	0,0	3 150,4	1 898,7	1 599,2	-1 251,7	60,3	299,5
დელეგირებით სკოლების რეაბილიტაცია	0,0	514,4	449,2	0,0	-65,3	87,3	449,2
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი (სახელმწიფო ბიუჯეტიდან (საჯარო ფინანსების მართვა))	0,0	300,0	300,0	550,0	0,0	100,0	-250,0

გრანტები მუნიციპალიტეტმა 2025 წელს დაგეგმილი 16 028,9 ათასი ლარიდან მიიღო 14 704,6 ათასი ლარი, 91,7%, მიუღებელი დარჩა 1 324,3 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად გამოწვეულია საქართველოს მთავრობის N 1106 განკარგულებით 2025 წლის თებერვლის თვეში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი სახსრების აუთვისებლობით, კერძოდ ვერ მოხერხდა შესრულებული სამუშაოების დამატატურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ასევე ვერ მოხერხდა სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების სრულად ჩამორიცხვა.

(**ცხრ. N 4**) თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებულია კაპიტალური გრანტი 54,6 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის მიმდინარე წლის 21 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის ფარგლებში მერიის შენობაში „ერთი ფანჯრის“ პრინციპით „EU4ITD -ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისათვის“ მოეწყო მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი.

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლება-მოსილების განსახორციელებლად 211,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ დამტკიცებული ბიუჯეტით მიზნობრივი ტრანსფერი 298,4 ათას ლარს შედგენდა, რომელიც წლის განმავლობაში შემცირდა 87,4 ათასი ლარით და განისაზღვრა 211,0 ათასი ლარი, ( მ. შ. გაიზარდა საზღვანდაცვის დელეგირება 12,6 ათასი ლარით და შემცირდა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირების თანხა 100,0 ათასი ლარით)

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრასპორტირების დელეგირებაზე საქ. მთავრობის N 302 და N 146 განკარგულებებით მიღებულია 1 263,7 ათასი ლარი, წინა 2024 წელთან შედარებით 194,8 ათასი ლარით მეტი, აღნიშნული გამოწვეულია სვლა-გეზების გაზრდით; მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებაზე 449,2 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს მთავრობის N 1604 განკარგულებით 16,0 ათასი ლარი; საქ. მთავრობის N1604-განკარგულებებით 39,2 ათასი ლარი და საქ. მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულებით 394,0 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებით 2025 წელს გეგმით და ფაქტიურად 9 358,6 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის N 1955 განკარგულებით 9 136,0 ათასი ლარი- მუნიციპალიტეტში ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და საქართველოს მთავრობის N 1207 განკარგულებით 222,6 ათასი ლარი მოქალაქეთა ჩართულობით შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 890,0 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 53 განკარგულებით; მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 278.8 ათასი ლარი საქ. მთავრობის N517 განკარგულებით; სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიღებულია 1 898.7 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 1106, N1424 და N186 განკარგულებებით. კაპიტალური გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში - 300,0 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის N 1214 განკარგულებით.

**გ) სხვა შემოსავლები**

(ათას ლარი)

**ცხრ. N 5**

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის წლიური შესრულება	2024 წლის ფაქტი	სხვაობა (გეგმა-ფაქტი)	გეგმის შესრ. %	სხვაობა (2025-2024))
	1	2	3	4	5	6	7
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>2 180,0</b>	<b>2 590,0</b>	<b>3 594,4</b>	<b>3 028,6</b>	<b>1 004,4</b>	<b>138,8</b>	<b>565,8</b>
პროცენტები	150,0	510,0	654,3	395,3	144,3	128,3	259,0
რენტა	125,0	125,0	132,6	193,3	7,6	106,1	-60,7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	75,0	75,0	76,8	97,5	1,8	102,4	-20,7
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	50,0	50,0	55,8	95,9	5,8	111,6	-40,1
სანებართვო მოსაკრებელი	5,0	5,0	4,6	9,6	-0,4	91,5	-5,0
<b>ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის</b>	<b>95,0</b>	<b>95,0</b>	<b>82,0</b>	<b>126,2</b>	<b>-13,0</b>	<b>86,3</b>	<b>-44,2</b>
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>1 805,0</b>	<b>1 855,0</b>	<b>2 712,8</b>	<b>2 297,1</b>	<b>857,8</b>	<b>146,2</b>	<b>415,8</b>
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	0,0	0,0	8,1	7,2	8,1		0,9

სხვა შემოსავლები (**ცხრ. N 5**) დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2 180,0 ათა ლარს, რომელიც გაიზარდა 410,0 ათასი ლარით (ბანკიდან მიღებული პროცენტებისა და საგზაო ჯარიმების ხარჯზე) და განისაზღვრა 2 500,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მუნიციპალიტეტმა მიიღო 3 594,4 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, გეგმა

შესრულდა 138,8 %-ით, მიღებულია დაგეგმილზე 1 004,0 ათასი ლარით მეტი და წინა 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით 565,8 ათასი ლარით მეტი. მიუხედავად გეგმების დაზუსტებისა, გადაჭარბებით შესრულდა ბანკიდან მიღებული შემოსავლებისა და ჯარიმების გეგმები. ბანკის პროცენტიდან მიღებულია 144,3 ათასი ლარით მეტი და ჯარიმებიდან 857,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალი.

შეუსრულებელი დარჩა მხოლოდ სანებართვო და დასუფთავების მოსაკრებლის გეგმები. სანებართვო მოსაკრებლის შესრულებას დააკლდა 0,4 ათასი ლარი და დასუფთავების მოსაკრებლიდან ბიუჯეტს დააკლდა 13,0 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია მსხვილი გადამხდელების მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გასვლის გამო.

**დ) არაფინანსური აქტივების კლება**

(ათასი ლარი)

გბრ. N6

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის წლიური შესრულება	2024 წლის ფაქტი	სხვაობა (გეგმა-ფაქტი)	გეგმის შესრ. %	სხვაობა (2025-2024))
	1	2	3	4	5	6	7
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>80,0</b>	<b>80,0</b>	<b>2,2</b>	<b>30,4</b>	<b>-77,8</b>	<b>2,8</b>	<b>-28,2</b>
ძირითადი აქტივები	50,0	50,0	0,0	30,4	-50,0	0,0	-30,4
არაწარმოებული აქტივები	30,0	30,0	2,2	0,0	-27,8	7,3	2,2
მიწა	30,0	30,0	2,2	0,0	-27,8	7,3	2,2

არაფინანსური აქტივების კლებიდან (გბრილი N6) დაგეგმილი 80,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 2,2 ათასი ლარი მიწის პრივატიზაციიდან, გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია ინვენტარიზაციის დაუსრულებლობით.

**ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით**

(ათასი ლარი)

გბრ. N7

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა			2025 წლის დაზუსტებული გეგმა			2025 წლის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
<b>ხარჯები</b>	<b>18 391,2</b>	<b>298,4</b>	<b>18 092,8</b>	<b>25 966,1</b>	<b>4 496,0</b>	<b>21 470,1</b>	<b>22 197,9</b>	<b>2 804,0</b>	<b>19 393,8</b>
შრომის ანაზღაურება	3 892,5	0,0	3 892,5	3 592,8	0,0	3 592,8	3 267,1	0,0	3 267,1
საქონელი და მომსახურება	2 287,2	0,0	2 287,2	4 918,6	2 196,4	2 722,2	4 092,6	1 793,0	2 299,6
პროცენტი	23,0	0,0	23,0	5,6	0,0	5,6	5,5	0,0	5,5
<b>სუბსიდიები</b>	<b>9 234,4</b>	<b>278,4</b>	<b>8 956,0</b>	<b>10 741,1</b>	<b>191,0</b>	<b>10 550,1</b>	<b>10 041,7</b>	<b>191,0</b>	<b>9 850,7</b>
გრანტები	46,7	0,0	46,7	153,8	0,0	153,8	150,1	0,0	150,1
სოციალური უზრუნველყოფა	2 149,0	20,0	2 129,0	3 512,0	20,0	3 492,0	2 922,2	20,0	2 902,2
სხვა ხარჯები	758,4	0,0	758,4	3 042,2	2 088,7	953,6	1 718,8	800,0	918,7

გბრილი N7 -ის მიხედვით მუნიციპალიტეტმა 2025 წელს ფაქტიურად გაწული 22 197,9 ათასი ლარის ხარჯებიდან ყველაზე მეტი 10 041,7 ათასი ლარი -45,2 % გაწულია სუბსიდიის ხარჯებზე.

**ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა**

(ათასი ლარი)

გბრ. N8

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა			2025 წლის დაზუსტებული გეგმა			2025 წლის შესრულება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები

არაფინანსური აქტივების ზრდა	1 839,4	0,0	1 839,4	15 680,6	12 907,2	2 773,5	13 396,8	11 535,1	1 861,7
-----------------------------	---------	-----	---------	----------	----------	---------	----------	----------	---------

ცხრილი N 8 -ის თანახმად არაფინანსური აქტივების ზრდაზე 2025 წელს გაწეული 13 396,8 ათასი ლარიდან 11 535,1 ათასი ლარი გაწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 1 861,7 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

**ზ) არაფინანსური აქტივების ზრდაზე პრიორიტეტების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა.**

(ათასი ლარი)

ცხრ. N 9

პროგრამული კოდი	დასახელება	202 წლის გეგმა	2025 წლის შესრულება	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	255,8	81,1	31,5
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>14 249,8</b>	<b>12 739,4</b>	<b>89,4</b>
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	16,0	1,9	35,0
04 00	განათლება	568,4	254,1	44,7
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	590,6	320,3	54,2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>		<b>15 680,6</b>	<b>13 396,8</b>	<b>85,4</b>

**N 9 ცხრილის** მიხედვით არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეული 13 396,8 ათასი ლარიდან ყველაზე მეტი 89,4% გაწეულია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტზე.

**ზ) ვალდებულებები**

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათწლიანი სასახეო ვალდებულებები გადასახდელი იყო 356,5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტი სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით ყოველწლიურად იხდის გადასახადს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. სულ დაფარულია 331,1 ათ. ლარი, აქედან **ცხრილი N 10** -ის მიხედვით 2025 წელს დაიფარა 50,9 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

ცხრ. N 10

დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	50,9	50,9	97,9
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>50,9</b>	<b>50,9</b>	<b>97,9</b>

**თ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

(ათასი ლარი)

ცხრ. N 11

დასახელება	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2025 წლის წლიური შესრულება		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-515,3</b>	<b>0,0</b>	<b>-515,3</b>	<b>-5 789,9</b>	<b>-1 428,9</b>	<b>-4 361,0</b>	<b>2 237,5</b>	<b>310,9</b>	<b>1 926,6</b>
კლება	515,3	0,0	515,3	5 789,9	1 428,9	4 361,0	-2 237,5	-310,9	-1 926,6

**ცხრილი N 1-ისა და ცხრილი N 11-ის** თანახმად 2025 წლის პირველი იანვრისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ერიცხებოდა 5 904,1 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი, საიდანაც 2025 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა ვალდებულებებისა და ხარჯების დასაფარავად განაწილდა 5 789,9 ათასი ლარი, ამასთან 515,3 ათასი ლარი გამოყენებული იქნა ბიუჯეტის დამტკიცების დროს. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრების ნაშთებიდან გამოყენებული იქნა 1428,9 ათასი ლარი და 4 361,0 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო

სახსრების ნაშთიდან. ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა 2025 წელს გადასახდელების დასაფინანსებლად გამოიყენა 2 237,5 ათასი ლარი, მ. შ. 310,9 ათასი ლარი სახ. ბიუჯეტის და 1 926,6 ათ. ლარი საკუთარი სახსრების დასაფინანსებლად.

**ი) ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცის**

**ცხრ. N 12 -ის მიხედვით** მუნიციპალიტეტის ფაქტიური გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში ძირითადი კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად გადანაწილდა და ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ეკონომიკურ საქმიანობას უჭირავს 13 475,5 ათ. ლარი, ხარჯების 37,9 %.

(ათასი ლარი)

**ცხრ. N 12**

ფუნქციონალური კოდი	ხარჯები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2025 წლის გეგმა			2025 წლის წლიური შესრულება		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6 124,1	0,0	6 124,1	6 179,5	340,0	5 839,5	5 292,5	0,0	5 292,5
<b>704</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>1 450,4</b>	<b>0,0</b>	<b>1 450,4</b>	<b>14 913,2</b>	<b>12 621,4</b>	<b>2 291,7</b>	<b>13 475,5</b>	<b>11 920,3</b>	<b>1 555,1</b>
705	გარემოს დაცვა	2 221,9	0,0	2 221,9	2 885,2	0,0	2 885,2	2 500,4	0,0	2 500,4
707	ჯანმრთელობის დაცვა	288,9	178,4	110,5	301,5	191,0	110,5	290,1	191,0	99,1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 998,1	0,0	2 998,1	3 681,2	1,1	3 680,0	3 157,4	1,1	3 156,3
709	განათლება	3 524,9	0,0	3 524,9	5 849,0	1 785,3	4 063,7	5 345,1	1 131,1	4 214,0
	<b>სულ</b>	<b>20 230,6</b>	<b>298,4</b>	<b>19 932,2</b>	<b>41 646,8</b>	<b>17 403,2</b>	<b>24 243,6</b>	<b>35 594,7</b>	<b>14 339,1</b>	<b>21 255,6</b>


**II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება 2025 წელს.**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 20 282,6 ათასი ლარით, (ცხრ. N 13) წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 21 415,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 41 697,7 ათასი ლარით, ფაქტიურად ათვისებული იქნა 35 645,6 ათასი ლარის ხარჯები -85,5%-ი, დაგეგმილზე 6 052,1 ათასი ლარით ნაკლები და წინა 2024 წლის ხარჯებთან შედარებით 5 697 ,0 ათასი ლარით მეტი. 2024 წლის ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 29 948,6 ათასი ლარს. გადასახდელების ათვისებლობის ძირითადი მიზეზი არის წლის ბოლოს აღებული ვალდებულებები, რომელთა ანგარიშსწორება ვერ მოხერხდა საანგარიშსწორებო დოკუმენტაციების წარმოუდგენლობის გამო.

(ათასი ლარი)

**ცხრ. N 13**

პროგრ. კოდი	პრიორიტეტების დასახელება	2024 წლის ფაქტიური	2025 წლის დამტკიცებული	2025 წლის დაზუსტებული	საბიუჯეტო ცვლილებით სულ	2025 წლის ფაქტი	სხვაობა 2025 წლის (გეგმა - ფაქტი)	სხვაობა (2024-2025)	2025 წლის გეგმის მესრ. %	ხვ. წილი %
00 00	<b>გადასახდელები</b>	<b>29 948,6</b>	<b>20 282,6</b>	<b>41 697,7</b>	<b>21 415,1</b>	<b>35 645,6</b>	<b>-6052,1</b>	<b>5697,0</b>	<b>85,5</b>	<b>100,0</b>
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	4 756,1	6 176,1	6 230,4	54,3	5 343,4	-887,0	587,3	<b>85,8</b>	15,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13 669,3	2 312,4	16 529,3	14 216,9	14 689,5	-1839,8	1020,2	<b>88,9</b>	41,2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 992,1	2 221,9	2 885,2	663,3	2 500,4	-384,7	508,4	<b>86,7</b>	7,0
04 00	განათლება	3 980,2	3 524,9	5 849,0	2 324,1	5 345,1	-503,9	1365,0	<b>91,4</b>	15,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 514,8	2 998,1	3 681,2	683,1	3 157,4	-523,7	642,6	<b>85,8</b>	8,9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 036,2	3 049,2	6 522,7	3 473,5	4 609,8	-1913,0	1573,5	<b>70,7</b>	12,9



დიაგრ. N 2

პრიორიტეტების მიხედვით დიაგრ. N2; ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებაზე და შედგენს 41,2 % -ს;

2025 წელს აღნიშნულ პრიორიტეტზე ცხრ. N 14 დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 2 312,4 ათასი ლარის დახარჯვა, წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა საბიუჯეტო ცვლილებებით პრიორიტეტის დაფინანსება გაიზარდა 14 216,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 16 529,3 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 14 689,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 88,9 -ით და წინა 2024 წელთან შედარებით გაწეულია 1 020,2 ათასი ლარით მეტი ხარჯი.


პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება ექვსი პროგრამა. მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება; წყლის სისტემის განვითარება; გარე განათება; მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია; კეთილმოწყობა და სოფლის მხარდაჭერი პროგრამა.

(ათასი ლარი)

ცხრ. N 14

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი			2025 წლის დაბუსტებული გეგმა			2025 წლის წლიური შესრულება			წლ. გეგმის შესრ. %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>13 669,3</b>	<b>2 312,4</b>	<b>0,0</b>	<b>2 312,4</b>	<b>16 529,3</b>	<b>13 035,3</b>	<b>3 493,9</b>	<b>14 689,5</b>	<b>12 252,9</b>	<b>2 436,6</b>	<b>88,9</b>
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11 006,4	1 250,0	0,0	1 250,0	13 694,1	11 692,8	2 001,3	12 322,1	11 046,3	1 275,8	90,0
გზების კაპიტალური შეკეთება	10 158,2	700,0	0,0	700,0	12 403,7	11 271,5	1 132,2	11 393,8	10 645,7	748,1	91,9
გზების მიმდინარე შეკეთება	254,7	250,0	0,0	250,0	621,7	168,0	453,7	452,5	164,5	288,0	72,8
საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	209,1	40,0	0,0	40,0	44,7	0,0	44,7	44,3	0,0	44,3	99,0
ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	268,4	100,0	0,0	100,0	424,0	253,3	170,7	287,9	236,0	51,9	67,9
მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	116,0	160,0	0,0	160,0	200,0	0,0	200,0	143,6	0,0	143,6	71,8
<b>წყლის სისტემის განვითარება</b>	<b>1 026,7</b>	<b>230,0</b>	<b>0,0</b>	<b>230,0</b>	<b>400,8</b>	<b>220,4</b>	<b>180,4</b>	<b>252,9</b>	<b>151,4</b>	<b>101,5</b>	<b>63,1</b>
სასმელი წყლით უზრუნველყოფა	138,9	200,0	0,0	200,0	214,7	54,7	160,0	149,9	49,2	100,7	69,8
კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	887,7	30,0	0,0	30,0	186,1	165,7	20,4	102,9	102,2	0,7	55,3
<b>გარე განათება</b>	<b>381,5</b>	<b>402,0</b>	<b>0,0</b>	<b>402,0</b>	<b>532,1</b>	<b>0,0</b>	<b>532,1</b>	<b>433,9</b>	<b>0,0</b>	<b>433,9</b>	<b>81,5</b>
გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	381,5	402,0	0,0	402,0	477,1	0,0	477,1	425,0	0,0	425,0	89,1
გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	0,000	0,0	0,0	0,0	55,0	0,0	55,0	9,0	0,0	9,0	16,3
<b>მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია</b>	<b>161,5</b>	<b>100,0</b>	<b>0,0</b>	<b>100,0</b>	<b>211,0</b>	<b>40,3</b>	<b>170,7</b>	<b>210,3</b>	<b>39,9</b>	<b>170,4</b>	<b>99,7</b>
<b>კეთილმოწყობა</b>	<b>66,5</b>	<b>130,0</b>	<b>0,0</b>	<b>130,0</b>	<b>472,2</b>	<b>153,3</b>	<b>318,9</b>	<b>316,9</b>	<b>141,2</b>	<b>175,7</b>	<b>67,1</b>
კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	66,5	130,0	0,0	130,0	472,2	153,3	318,9	316,9	141,2	175,7	67,1
<b>სოფლის მხარდაჭერი პროგრამა</b>	<b>1 026,7</b>	<b>200,4</b>	<b>0,0</b>	<b>200,4</b>	<b>1 219,1</b>	<b>928,7</b>	<b>290,4</b>	<b>1 153,3</b>	<b>874,0</b>	<b>279,3</b>	<b>94,6</b>

დიაგრამა N 3



N 14 ცხრილისა და დიაგრამის N 4 დიაგრამის -ის თანახმად ინფრასტრუქტურის პრიორიტეტში ყველაზე მეტი 12 322,1 ათასი ლარი 83,9 % მიმართულია „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა - 01 01 პროგრამული კოდი“დაფინანსებაზე. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრიების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები კი უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების უმეტესი ნაწილი რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა (სანიაღვრეები).

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხუთი ქვეპროგრამა: გზების კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, რომელიც თავის თავში მოიცავს გზების მოვლა-შენახვას, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, ამასთან დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულია ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპები, ხოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რათა შეიქმნას უსაფრთხო, კომფორტული და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო.

პროგრამის განხორციელების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაიზარდა მოსახლეობის და გასწორდა ხარაგაულის შიდა გზების რაოდენობა, რეაბილიტირებული ხიდების, ხიდბოგირებისა და მილხიდების რაოდენობა, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა, მოწესრიგდა საგზაო უსაფრთხოების ნიშნები და შეიქმნა შედარებით უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების შესაძლებლობა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2024 წელი მაჩვენებელი	დაგეგმილი 2025 წლის მაჩვენებელი	მიღწეული 2025 წლის მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	30	30	36	6	
2	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები	21	20	21		

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, ბოგიერების და მილხიდების რაოდენობა	1	7	1		
სოფლების რაოდენობა, სადაც მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურება	26	26	26		
უსაფრთხოების ნიშნებისა და ახალი ვიდეოკამერების ოდენობა	12	12	12	0	

საგზაო ინფრასტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის „გზების კაპიტალური მშენებლობა- პროგრამული კოდი 03 01 01“ აღნიშნული ქვეპროგრამით დაგეგმილი 12 403,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 11 393,8 ათასი ლარის ხარჯი -91,1 %, მ. შ სახ. ფონდების ხარჯზე გაწეულია 10 645,7 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 748,1 ათასი ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას, გზებზე ნაპირსამაგრი საყრდენი კედლების მოწყობას. აღნიშნული ქვეპროგრამა ძირითადად განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით. მათ შორის:

საქ. მთავრობის 2024 წლის 31.12. N 1955 განკარგულებით გამოყოფილი 9 136,0 ათასი ლარიდან დაფინანსდა 46 პროექტი და გაწეული იქნა 8934,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ამ განკარგულებით ცხრილი N 15 -ის მიხედვით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

(ლარი)

**ცხრ. N15**

საქართველოს მთავრობის N 1955 განკარგულება(31.12.2024)					
	პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა	კონტრაქტორის დასახელება	გაფორმებული ხელშეკრულება	გადარიცხული თანხა ფონდით
	სულ	9 136,124		9 136,098	8 934,942
1	ღორემა-მარიაშწყაროს გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	239,170	შპს "ალპედე"	239,170	239,170
2	სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	320,031	შპს "ალპედე"	320,031	320,031
3	სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	348,907	შპს მეკა	348,907	348,907
4	სოფელ ბაზალეთში ლომსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	132,080	შპს მეკა	132,080	132,078
5	სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია ( საუბნო გზის 2 უბანში)	486,905	შპს Georgian Build	486,905	462,560
6	სოფელ ღუდუმეკეთში გზის რეაბილიტაცია (კახორის ეკლესიამდე მისასვლელი გზა)	360,224	შპს Georgian Build	360,224	235,283
7	სოფელ ლახუნდარაში გზის რეაბილიტაცია (მელქაძეების უბანი)	226,775	შპს მშენებელი 2020	226,775	226,775
8	სოფელ ვაშლეუში გზის რეაბილიტაცია	284,898	შპს მშენებელი 2020	284,898	284,898
9	სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია	120,331	შპს მეკა	120,331	120,331
10	სოფელ ჯაფაროულში საუბნო გზის რეაბილიტაცია	59,417	შპს გგ	59,417	59,417
11	სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	67,949	შპს სანდრო	67,949	67,949
12	სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (გუბათის უბანი II ეტაპი)	66,379	შპს მეკა	66,379	66,379
13	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (კაქნარი კოდაბოლოს უბანი)	230,460	შპს "ფირმა იმედი"	230,460	230,460
14	ბორი -საქარიქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	245,833	შპს სანდრო	245,833	245,833

საქართველოს მთავრობის N 1955 განკარგულება(31.12.2024)					
	პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა	კონტრაქტორის დასახელება	გაფორმებული ხელშეკრულება	გადარიცხული თანხა ფონდით
15	სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ელაზნაურის და არევაძის უბანი)	10,227	შპს მეკა	10,227	10,227
16	სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია (ჭილოვის უბანი)	111,980	შპს მეკა	111,980	111,980
17	სოფელ საღანძილის საუბნო გზის რეაბილიტაცია (მაღალმინდორის უბანი)	66,856	შპს "ფირმა იმედი"	66,856	66,856
18	სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია	53,142	შპს მშენებელი 2020	53,142	53,142
19	სოფელ ღუდუმეკეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	37,331	შპს Georgian Build	37,331	35,464
20	სოფელ ლაშქში საუბნო გზის რეაბილიტაცია	49,763	შპს გგ	49,763	49,763
21	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	108,318	შპს იმესი	108,318	108,318
22	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ვარძიაში გზის რეაბილიტაცია (დვლებს უბანი)	105,586	შპს ბორი	105,586	105,585
23	სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია	704,957	შპს გგ	704,957	704,957
24	სოფელ ლეღვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბუნგების უბანი)	100,000	შპს ქონქრით მენ	100,000	95,000
25	სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბუდიანეთის უბანი)	177,744	შპს დანი	177,744	177,744
26	სოფ ბორითში საუბნო გზის რეაბილიტაცია	600,913	შპს მშენებელი 2022	600,913	600,913
27	სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია	128,185	შპს დანი	128,185	128,117
28	სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია	620,000	შპს გგ	620,000	619,069
29	სოფელ ლახუნდარაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	217,571	შპს სანდრო	217,571	217,571
30	სოფელ დეისში (კაპანაძეები) საუბნო გზის რეაბილიტაცია	187,777	შპს დანი	187,777	187,767
31	სოფელ ვერტყვიჭალაში (სკოლა) საუბნო გზის რეაბილიტაცია	245,390	შპს იმესი	245,390	245,390
32	სოფელ ხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია	205,964	შპს ქონქრით მენ	205,964	205,964
33	სოფელ ღორეშაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	358,981	შპს იმესი	358,981	358,981
34	სოფელ ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია	278,259	შპს სანდრო	278,259	278,259
35	სოფელ საბეში საუბნო გზის რეაბილიტაცია	100,000	შპს მ გრუპი	100,000	95,000
36	სოფელ ბორში გზის რეაბილიტაცია	299,759	შპს სანდრო	299,759	299,759
37	სოფელ წაქვაში (ზედა უბანი) საუბნო გზის რეაბილიტაცია	217,556	შპს დანი	217,556	217,556
38	სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	200,000	შპს ქონქრით მენ	200,000	190,000
39	სოფელ ხემდალში გზის რეაბილიტაცია	125,000	შპს სანდრო	125,000	118,750
40	პატარა ხარაგაულში საუბნო გზის რეაბილიტაცია	58,623	შპს ნნდ გრუპ	58,597	58,589
41	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	100,000	შპს მ გრუპი	100,000	95,000
42	სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	150,000	შპს გგ	150,000	142,500
43	ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია	100,000	შპს იმესი	100,000	95,000
44	სოფელ ქროლში საუბნო გზის რეაბილიტაცია	52,331	შპს გრუპი	52,331	49,715
45	სოფელ წიფში საუბნო გზის რეაბილიტაცია	52,331	შპს მ გრუპი	52,331	49,714
46	სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია	122,221	შპს "ალპედე"	122,221	122,221

საქ. მთავრობის 2025 წლის 30.01. N 186 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების რეაბილიტაციასა და გზებზე საყრდენი კედლების მოწყობაზე გაწეულია 812,6 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სოფელ გედსამანიის, ლედვის, ვერტყვიჭალის, წაქვის სტიქიისაგან დაზიანებული გზების რეაბილიტაციას მათზე ნაპირსამაგრი და საყრდენი კედლების მოწყობას.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21.03. N 517 განკარგულებით მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა სოფელ წიფაში საუბნო გზის რეაბილიტაცია 270,0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30.07. N1207 განკარგულებით მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გზების კაპიტალურ მშენებლობა დაფინანსდა 49,2 ათასი ლარით;

წინა წლის სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან 599,8 ათასი ლარი. მათ შორის N2400 განკარგულებით 301,0 ათასი ლარი; N 2402 განკარგულებით 221,6 ათასი ლარი და N 116 განკარგულებით 77,2 ათასი ლარი. (რომელი გზები?)

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯული 748,1 ათასი ლარი მოხმარდა სახედამხედველო და საპროექტო სამუშაოების დაფინანსებას.

აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა; ტრანსპორტის, ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის შექმნილია შედარებით უსაფრთხო გადაადგილების პირობები

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი				მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	შუალედური ინდიკატორი	2024 საბაზისო მაჩვენებელი	2025 დაგეგმილი მაჩვენებელი	2025 მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	რეაბილიტირებული გზების სიგრძე სადგ ჩატარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	30	30	30		
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	2400	2500	2400	100	
3	გზებზე მოწყობილი საყრდენი კედლების რაოდენობა	10	10	10	0	

**გზების მიმდინარე შეკეთებაზე - პროგრამული კოდი 03 01 02** “ დაგეგმილი 621,7 ათ. ლარიდან ათვისებულია 452,5 ათასი ლარი, აქედან, 164,5 სახელმწიფო ფონდებიდან და 288,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით. მ. შ.

საქ. მთავრობის 2025 წლის 30.01. N 186 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შესაკეთებლად 38,6 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის გზების შესაკეთებლად მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30.07. N1207 განკარგულებით 95,0 ათასი ლარი და წინა 2024 წლის საქ. მთავრობის 30.04. N1025 განკარგულებით 31,0 ათასი ლარი, ამ პროექტების განსახორციელებლად თანადაფინანსების სახით მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯები შეადგენდა 41,5 %-ს.

გარდა აღნიშნულისა მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრები ასევე მოხმარდა მოხმარდა გზების გასწორხაზოვნებას, გათოვლას და სხვა სახის მიმდინარე შეკეთებას.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	შუალედური შედეგის ინდიკატორი	2024 საბაზისო მაჩვენებელი	2025 დაგეგმილი მაჩვენებელი	2025 მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოხრეშილი გზების საერთო სიგრძე	21	20	21	
2	გზებისა და ქუჩების საერთო რაოდენობა, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება	40	40	40	

3	მოქალაქეთა ჩართულობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა	17	14	14		
---	--	----	----	----	--	--

**საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - პროგრამული კოდი 02 01 03** დაგეგმილი 44,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 44,3 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოების მიზნით განლაგებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად გაწეული მომსახურების ხარჯები, ასევე მცირეფასიანი საგზაო ნიშნებისა და სიჩქარის შემზღველადვი ბარიერების შექმნის ხარჯები.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	შუალედური შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	დამონტაჟებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების რაოდენობა	12	12	12	0

**ხიდების რეაბილიტაციაზე - პროგრამული კოდი 02 01 04.** გათვალისწინებული 424,0 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 287,9 ათასი ლარი, აქედან 236,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით, მათ შორის: საქ. მთავრობის 2025 წლის 30.01. N 186 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შესაკეთებლად 38,6 ათასი ლარი;

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30.07. N1207 განკარგულებით 94,9 ათასი ლარი და წინა 2024 წლის საქ. მთავრობის 30.04. N1025 განკარგულებით 31,0 ათასი ლარი, თანადაფინანსების სახით მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯები შეადგენდა 41,5 %-ს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სოფელ ღორეშაში, ზედუბანში, დეისში და უბისაში შეკეთდა და მოეწყო ხიდბოგირები; სოფელ უბისაში, საღანძილესა და ჩაღხაეთში საფეხმავლო ბონდები. სოფელ ციციურში მიღობი. მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით დაფინანსდა სოფელ წიფასა და ახალსოფელში ხიდების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის ხარჯები. ასევე ანაზღაურებული იქნა ზედამხედველობისა და ინსპექტირების ხარჯები.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი			განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	2024 საბაზისო მაჩვენებელი	2025 დაგეგმილი მაჩვენებელი	2025 მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
1	მოწყობილი/რეაბილიტირებული ხიდების, ბოგირების, ბონდების და მიღობების რაოდენობა	11	11	11	0	
2	ხიდებით, ხიდბოგირებით, ბონდებით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა	250	250	250	0	

**საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებაზე- პროგრამული კოდი 03 01 05“** მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 200,0 ათასი ლარიდან დახარჯა 143,6 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდა ტრანსპორტით დაქირავების ხარჯებს დაბა ხარაგაულის ცენტრიდან სხვადასხვა სოფლის ცენტრებამდე. შესრულდა რეისები :სოფელ ნადაბურიდან სოფელ ხევის, ბორითის, უბისის, სარგვეშის და ბაზალეთის გავლით ხარაგაულამდე; 2. სოფელი ზვარე -ხარაგაული; 3.დაბა ხარაგაული-თეთრაწყარო-კიცხი; 4. სოფელ გედსამანიიდან სოფელ ხუნევის გავლით სოფელ ხევამდე და ხევიდან ახალი ავტობანის გავლით სოფელ ვერტყვიჭალამდე, შემდეგ სოფელ ვერტყვილის, საქასრიის, ბორითის, მაქათუბნის გავლით სოფელ უბისამდე და უკან სოფელ ხევამდე; 5. სოფელ ნუნისიდან სოფელ ჩრდილისა და სოფელ ზვარეს გავლით მოლითის ადმინისტრაციულ ცენტრამდე; 6. ხარაგაული-სხლითი-ვანი-საღანძილე-დაბა ხარაგაული; 7.სოფელი ვახანი-

სადგურის ვახანისწყალი; 8. ხარაგაული-სადანძილე-დიდვაკე-ლელვანი-დიდვაკე-სადანძილე-ხარაგაული; 9. წყალაფორეთი-ვარძია-ხიდარი-კიცხი-დაბა ხარაგაული. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ტრანსპორტის შეუფერხებელი მომსახურება ხელს უწყობს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოხუცების სოფლებიდან დაბაში გადაადგილებას სხვადასხვა სერვისების მისაღებად.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორი	2024 საბაზისო მაჩვენებელი	2025 დაგეგმილი მაჩვენებელი	2025 მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	სოფლების რაოდენობა სადაც ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება	26	26	26	0
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით	750	750	750	0

**წყლის სისტემის განვითარება პროგრამული კოდი 02 02** “ პროგრამა მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, საკანალიზაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლით უზრუნველყოფა; საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა) გეგმით გათვალისწინებული 400,8 ათასი ლარიდან ფაქტიურად დაფინანსდა 250,9 ათ. ლარი, მ. შ. 151,4 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 101,5 ათ. ლარი საკ. სახსრებით. პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის სინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	მოწყობილი წყალმომარაგების ქსელის სიგრძე	47	20	47	
2	მოწყობილი სანიაღვრე არხების რაოდენობა	10	10	10	0

**მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 02 02 01 პრ. კოდი**“ ქვეპროგრამა კვალავ აქტუალურია, რათა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წყალი მიეწოდოს 24 საათიანი გრაფიკით. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შედარებით მოწესრიგებული, განახლებული და ახლადმოწყობილია წყალგაყვანილობის ქსელისა და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო სასმელი წყლით. 2025 წელს სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე დახარჯულია 149,9 ათასი ლარი.

დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი			მიღწეული შედეგის ინდიკატორი		განმარტება
N	მოსალოდნელი შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი
1	სოფლების რაოდენობა სადაც მიმდინარეობდა წყლის სისტემის მოწესრიგება	24	24	24	2
2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ რეაბილიტირებული წყლის სისტემით	1900	2000	1900	100

**საკანალიზაციო სისტემის განვითარება** (სანიაღვრე არხების მოწყობა, გაწმენდა, მდინარეებსა და ღელეებზე ნაპირსამაგრების მშენებლობა) - **პროგრამული კოდი 02 02 02** ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბასა და სოფლებში სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას, მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმდებლების,

საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა, რომელიც მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, განსაკუთრებით წყალდიდობების, ნიადაგის ეროზიისა და მეწყერული პროცესების თავიდან აცილების თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

